წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სხდომის ოქმი №16
(ახლადარჩეული საკრებულოს პირველი სხდომის გაგრძელება)

ქ.წალენჯიხა 2022 წლის 25 იანვარი

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე: კორნელი სალია

საკრებულოს 27 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 25 დეპუტატი: დარეჯან დადიანი, დავით ბელქანია, მაია მიქავა, თენგიზ ფიფია, მანანა ჭანია, სოლომონ სარია, ბესიკ ფარცვანია, ზაზა უბილავა, დათა კუკავა, ნანა კეკუა, ავთანდილ გაბელია, თემურ ქარდავა, ეკა სამუშია, ომარ ქარდავა, რაისა ჩანგელია, ირაკლი სალია, ნანა ქობალია, ბაჩანა ქანთარია, მამუკა მიქავა, დათო მესხია, რომან კვარაცხელია, გონერ კვარაცხელია, გელა აბულაძე, გიორგი დარსალია.

ასევე ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, საზოგადოებისა და მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00 სთ.
სხდომა დასრულდა: 14:15 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.

კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ „შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონის შესაბამისად აუცილებელია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმება საკრებულოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში ცვლილების შეტანა.

დღის წესრიგში ცვლილების შეტანას საკრებულომ ერთხმად დაუჭირა მხარი.

საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ სხვა შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი

9. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

10. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ;

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

მომხსენებელი: მერის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი- ჯემალ ბელქანია, მერიის

ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი

13. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების პერსონალური შემადგენლობის თაობაზე;

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

15. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების არჩევის შესახებ.

მომხსენებელი: კორნელ სალია - საკრებულოს თავმჯდომარე

მოისმინეს: 9. საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის პრეროგატივაა და იგი აირჩევა ფარული კენჭისყრით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

გათვალისწინებით ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ წარდგენილიქნა ავთანდილ გაბელიას კანდიდატურა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 15 წევრმა.

ავთანდილ გაბელიას ხმა მისცა 15–მა საკრებულოს წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილის თანამდებობაზე ავთანდილ გაბელიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N2).

მოისმინეს: 10. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეების არჩევის შესახებ;

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ განმარტა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის და მოადგილეების კანდიდატურის წარდგენა მხოლოდ საკრებულოს თავმჯდომარის

პრეროგატივაა და იგი აირჩევა ფარული კენჭისყრით, საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

გათვალისწინებით ამისა, საკრებულოს თავმჯდომარის მიერ საკრებულოს თავმჯდომარის ერთერთ მოადგილედ წარდგენილიქნა გიორგი დარსალიას კანდიდატურა, ხოლო მეორე მოადგილე არ წარადგინა.

მას შემდეგ რაც კანდიდატმა განაცხადა თანხმობა ეყარა კენჭი აღნიშნულ თანამდებობაზე, გაიმართა ფარული კენჭისყრა. ფარული კენჭისრის შედეგად ხმის დამთვლელი დროებითი კომისიის მიერ გამოვლენილიქნა შემდეგი შედეგი:

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო საკრებულოს 15 წევრმა.

გიორგი დარსალიას ხმა მისცა 15–მა საკრებულოს წევრმა.

ფარული კენჭისყრის შედეგად ხმათა უმრავლესობით საკრებულოს მიერ მიღებულიქნა განკარგულება საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე გიორგი დარსალიას არჩეულად ცნობის შესახებ. (განკარგულება N3).

მოისმინეს: 11 . წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ.

კორნელი სალიამ აღნიშნა, რომ „შრომის ანაზღაურების შესახებ" კანონის შესაბამისად , აუცილებელია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებით დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმება საკრებულოსთან თუ ის 5%-ზე მეტია, გათვალისწინებით ამისა,შესათანხმებლად წარმოგიდგენთ საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 2 (ორ) პოზიციას შესათანხმებლად.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 4).

მოისმინეს: 12 წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით, დამხმარე ამოცანების შესასრულებლად, დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვიდან გამონაკლისის დაშვებაზე საკრებულოს თავმჯდომარისთვის თანხმობის მიცემის შესახებ.

საკითხი წარმოადგინა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსმა ჯემალ ბელქანიამ.

ჯემალ ბელქანიამ აღნიშნა, რომ „საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად აუცილებელია „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" კანონის გათვალისწინებით შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმება

საკრებულოსთან თუ ის 5%-ზე მეტია, გათვალისწინებით ამისა, ვინაიდან მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული უნდა იყოს 4 (ოთხი) პოზიცია, შესათანხმებლად წარმოგიდგენთ 5%-ზე მეტ 2 (ორი) პოზიციას.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 5).

მოისმინეს:13. მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის თაობაზე;

საკრებულოს თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკრებულოს წარუდგინა კომისიების შემადგენლობა , შემდეგი სახით:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო კომისია – 5 წევრი;

ბ) სამანდატო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომისია – 5 წევრი;

გ) სოციალურ საკითხთა კომისია – 5 წევრი;

დ) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია– 5 წევრი;

ე) ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია – 5 წევრი;

აღნიშნულთან დაკავშირებით კომისიებში განისაზღვრა კვოტები.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ კორნელი სალიამ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 25 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N 6).

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გადადო 2022 წლის 28 იანვრის 12 სთმდე.

სხდომის თავმჯდომარე კორნელი სალია